


დანართი C3 ESIA შესწორებების რეესტრი



სარჩევი

1 შესავალი	1
------------------	---

ცხრილები

ცხრილი 1: პასუხები დაინტერესებული მხარეების შენიშვნებზე და საჯარო განხილვის დასრულების შემდგომი განახლებები	2
ცხრილი 2: განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები	11
ცხრილი 3: ბეჭდვითი შეცდომების და შეუსაბამობების გასწორება.....	34

1 შესავალი

ეს თავი შეიცავს ESIA-ს შესახებ ინფორმაციის წარდგენის პერიოდში განხორციელებული შესწორებების ჩამონათვალს, რომლის შედეგადაც მოხდა ESIA-ს საბოლოო ანგარიშის მომზადება ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროში განხილვისა და დამტკიცებისთვის წარსადგენად.

ამ დოკუმენტში შეტანილი იქნა შესწორებები შემდეგი ფაქტორების გათვალისწინების მიზნით:

- პროექტი პასუხობს დაინტერესებული მხარეების შენიშვნებს, C2 დანართის შესაბამისად
- ანგარიშის საჯარო განხილვის პროცესთან დაკავშირებული მითითებების განახლება, რაც ამჟამად დასრულებულია
- უმნიშვნელო ცვლილებები პროექტის განხორციელების გეგმაში
- განმარტებები დოკუმენტის ინტერპრეტირების გასაადვილებლად
- ბეჭდვის დროს დაშვებული შეცდომების შესწორება

ეს ცვლილებები შეტანილია შემდეგ ცხრილებში:

- ცხრილი 1: პასუხები დაინტერესებული მხარეების შენიშვნებზე და საჯარო განხილვის დასრულების შემდგომი განახლებები
- ცხრილი 2: განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები
- ცხრილი 3: ბეჭდვითი შეცდომების და შეუსაბამობების გასწორება

დანართში E მოცემულ ვალდებულებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, მაშნაც თუ ცხრილში ეს პირდაპირ არ არის აღნიშნული, ჩაითვლება, რომ აღნიშნული ცვლილება შეეხება ამ ვალდებულებას ESIA-ის ყველა სხვა თავში, მაგ., 5, 10, 12 თავებში და დანართში D. ESIA-ს ქვეთავების ნომრები, ქვემოთ მოცემულ ცხრილებში აღნიშნავს ქვეთავს და ცხრილს საბოლოო ანგარიშში და გამოყენებული უნდა იქნას თავზე ან ცხრილზე მითითებისთვის.

ცხრილი 1: პასუხები დაინტერესებული მხარეების შენიშვნებზე და საჯარო განხილვის დასრულების შემდგომი განახლებები

პასუხები დაინტერესებული მხარეების შენიშვნებზე და საჯარო განხილვის დასრულების შემდგომი განახლებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი/ სურათი/ ვალდებულება	აღწერა
1	1.6		შესწორდა ტექსტის ბოლო პუნქტი ESIA-ს ქართული და ინგლისური თარგმანების შესახებ, დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად
4	4.5.1		დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად დამატებული იქნა პუნქტი მდინარე ალგეთის გადაკვეთის ალტერნატივების შესახებ
4	4.6.2		დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად განახლდა CSG2-ის უბნის განლაგების ვარიანტები თავები და დაემატა აღნიშნული ვარიანტების შესაბამისი ეკოლოგიური და ბიომრავალფეროვნების ღირებულების ხარისხობრივი შეფასება
4	4.10.1		დამატებული იქნა კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენებოდა დროებითი ზონის პარამეტრების შეფასებისთვის
5	5.1		დამატებული იქნა განმარტება, რომ პროექტის განხორციელების გეგმაში შევიდა ვალდებულებები D პრეფიქსით
5	5.3		დაინტერესებულ მხარეთა შენიშვნების პასუხად, დამატებულ იქნა ინფორმაცია მილსადენის საპროექტო სტანდარტების, ჩამკვეთ სარქველთან მილსადენისა და დგუმის სადგურის საპროექტო სტანდარტების, საპროექტო წნევისა და ტემპერატურის და მილსადენის უსაფრთხოების მაჩვენებლების შესახებ,
5	5.3.1		დაინტერესებული მხარეების შენიშვნების პასუხად, დამატებულ იქნა ინფორმაცია კოროზიის დაცვის სისტემის შესახებ
5	5.3.1		დაინტერესებული მხარეების შენიშვნების პასუხად, განახლდა დგუმის სადგურისა და ჩამკვეთი სარქველის სადგურის შესახებ არსებული აღწერები
5	5.3.2	T5-4	დაინტერესებული მხარეების შენიშვნების პასუხად, განახლდა მილსადენის გადაკვეთების მონაკვეთი და გეგმა
5	5.4.5	F5-11	განახლდა ნახაზი ფოლადაანთკარში ახალი ბანაკის ადგილმდებარეობის ასახვის მიზნით
5	5.4.7		დამატებულია მდინარე ალგეთის გადაკვეთასთან მდებარე შემცირებული სამშენებლო დერეფნის აღწერა
5	5.4.11		განახლებულია გზის, მდინარის და რკინიგზის გადაკვეთის მონაკვეთი დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

პასუხები დაინტერესებული მხარეების შენიშვნებზე და საჯარო განხილვის დასრულების შემდგომი განახლებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი/ სურათი/ ვალდებულება	აღწერა
5	5.5.1		დამატებულია საქართველოს პროდუქციის მოცულობის აღწერა, SCPX პროექტით გათვალისწინებულ 0.76 bcma (მილიარდი კუბური მეტრი წლიურად) დამატებითი წარმადობის ჩათვლით
5	5.5.5	T5-8	ჩასმულია ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემისთვის წინასწარ შერჩეული წყლის ჩაშვების ადგილების ცხრილი, დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად
5	5.6.1		დამატებულია ტექსტი, სადაც განმარტებულია, რომ პროექტის გეგმებში შედის CSG1-ის და CSG2-ის ტერასირების და დროებითი ზონების ოპტიმიზაციის შესწავლა, მიწის სამუშაოების შემცირების და მასალების საჭირო რაოდენობის იმპორტის მიზნით
7	7.2.3.1		მილსადენის მარშრუტის გასწრივ არსებული გეოლოგიური მდგომარეობის აღწერა განახლდა დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად
7	7.2.3.1, 7.2.3.3		დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად, ამ პუნქტებში დამატებულია ინფორმაცია პროექტის მოქმედების ზონის ფარგლებში სასარგებლო წიაღისეულის საბადოების შესახებ
7	7.2.3.2		ეს ნაწილი შეიცვალა CSG2-ზე ჰიდროგეოლოგიურ პირობებთან დაკავშირებული დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად.
7	7.2.4		დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად ლანდშაფტის ნაწილში (7.4) მოყვანილი გეომორფოლოგიური მდგომარეობის განახლებას დაემატა ჯვარედინი მითითება
7	7.2.5, 7.2.5.1		ეს პუნქტები განახლდა დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად
7	7.4.3		ეს პუნქტი განახლდა დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად
7	7.5.3.2, 7.5.3.5		ეს პუნქტი განახლდა დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად
7	7.6		ეს პუნქტი განახლებულია დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად, და ESIA-ს საჯარო განხილვის პერიოდში ჩატარებული გრუნტის წყლების მეორე საკონტროლო კვლევის შედეგების ასახვის მიზნით
7	7.7.2.2		ამ პუნქტს დაემატა ESIA-ის საჯარო განხილვის პერიოდში ჩატარებული დამატებითი კვლევები, მათ შორის დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად
7	7.7.2.9		ეს პუნქტი განახლდა მდინარე ალგეთის გადაკვეთაზე არსებული ხეების ინვენტარიზაციის მეთოდოლოგიის და მდინარე აჯიზე არსებული უხერხემლოების მაკრო კვლევის აღწერის მიზნით
7	7.7.2.10		ეს პუნქტი განახლებულია მდინარე აჯიზე თევზჭერის კვლევის აღწერის მიზნით

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

პასუხები დაინტერესებული მხარეების შენიშვნებზე და საჯარო განხილვის დასრულების შემდგომი განახლებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი/ სურათი/ ვალდებულება	აღწერა
7	7.7.3.2		ეს პუნქტი განახლებულია მდინარე აჯიზე თევზჭერის და უხერხემლოების მაკრო კვლევის შედეგების აღწერის მიზნით
7	7.7.3.3, 7.7.3.4		ამ პუნქტების სტრუქტურა შეიცვალა დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად
7	7.7.4.1		ეს პუნქტი განახლდა დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად, და კობრის სახეობებთან დაკავშირებით IUCN-ს (ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი) მითითებების ასახვის მიზნით
8	8.4.1		პუნქტი ზოონოზური დაავადებების შესახებ განახლდა დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად
9			მე-9 თავში შეტანილია შესწორება, სადაც აღინიშნა, რომ ანგარიშის საჯარო განხილვა უკვე ჩატარდა.
9	9.7	T9-5	ჩასმულია CSG2 მისავლელი გზის ბანაკის მახლობლად განლაგებულ დამატებით PAC-ებთან კონსულტაციების შედეგები
9	9.7		ESIA-ის ანგარიშში გამოქვეყნებული ადგილმდებარეობა (ზოგიერთ ადგილას შეუძლებელი იყო ბიბლიოთეკების გამოყენება, რადგან ის არ იყო გახსნილი) და მექანიზმების განახლება
10	10.1.5		ჩამატებულია დამატებითი ინფორმაცია მეორადი ზემოქმედებების შესახებ, დანართებზე B-2 და B-3 მითითების ჩათვლით, სადაც ახლა ამ ტიპის ზემოქმედება გამოყოფით აღინიშნება; დამატებულია უარყოფითი გავლენის შემარბილებელი დამატებითი ზომები დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად
10	10.2.4		დამატებულია ინფორმაცია ინფრასტრუქტურის უბნების ტერასირების შესწავლის შესახებ
10	10.3.3		გაურკვეველი სახის დაბინძურება, მაგ., ციმბირის წყლულის გამომწვევი ჩხირები, დამატებულია, როგორც დაბინძურების პოტენციური წყარო
10	10.3.3	T10-3	ზემოქმედების შეფასებას დაემატა A9 საკითხი ჭარბი ნიადაგის ზედა ფენის და ინერტული მასალების განთავსების, ნიადაგის სტრუქტურაზე ზემოქმედებების და მასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ; დაინტერესებულ მხარეთა შენიშვნების პასუხად, შემარბილებელი ღონისძიებები დაემატა ცხრილს: 17-07 საკითხს A3; 4-08 საკითხს A4 ; 6-18 და 6-25 საკითხს A6; D5-030 და D5-106 საკითხს A7
10	10.4.3	T10-7	დაინტერესებულ მხარეთა შენიშვნების პასუხად, D8-02, 17-07, OP141, 8-04, 9-02 და 9-04 ვალდებულებები დაემატა A8 საკითხს, ხოლო 35-08, 3-15, 8-03 და 3-26 ამოღებული იქნა. დაინტერესებულ მხარეთა შენიშვნების პასუხად, 1-08, 1-12 და D5-066 ვალდებულებები დაემატა A9 საკითხს

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

პასუხები დაინტერესებული მხარეების შენიშვნებზე და საჯარო განხილვის დასრულების შემდგომი განახლებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი/ სურათი/ ვალდებულება	აღწერა
10	10.5.1		მდინარის დინების სიჩქარეზე, მდინარის ნაპირსა და კალაპოტზე უარყოფითი ზემოქმედების მიმართ სენსიტიური მაჩვენებლები განახლდა და მოიცავს წყლის ნაკადებთან გადაკვეთის სხვა მცირე უბნებს
10	10.5.3	T10-9	გავლენა კუსტარულ თევზის რეწვაზე შეფასდა დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად
10	10.5.3	T10-9	დაინტერესებულ მხარეთა შენიშვნების პასუხად, დამატებითი ვალდებულებები 10.3.4 თავიდან ჩართული იქნა A3 საკითხში, რამდენადაც ეს ღონისძიებები, აგრეთვე, არბილებს ზედაპირულ წყლებზე ნიადაგის ეროზიით გამოწვეულ ზემოქმედებებს და 6-06 - 6-10, 6-20 6-24-მდე, 7-01, 7-04, 7-08, 7-14, 7-15 და D5-028 - D5-030 ვალდებულებები დაემატა A7 საკითხს, რადგანაც ეს ვალდებულებები ასევე არბილებენ ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედებებს. შემარბილებელი ღონისძიებება 14-04 თავიდან 10.6 გადატანილი იქნა A14 საკითხში, რამდენადაც, უფრო შეესაბამება აღნიშნულ თავს ზედაპირული წყლის შემარბილებელ ღონისძიებებთან და დაბინძურებასთან დაკავშირებით; A12 საკითხს დაემატა D5-078 და 10-09
10	10.6		დაინტერესებულ მხარეთა შენიშვნების პასუხად, აღნიშნული თავი შემოწმდა და შესწორდა, რაც უფრო დეტალურად არის აღწერილი C2დანართში
10	10.7.2		ეს პუნქტი შესწორდა დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად და 07 თავში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად
10	10.7.3		მდინარე ალგეთის გადაკვეთასთან გასაჩეხი ხეების რაოდენობა შესწორდა კვლევის დამატებითი შედეგების გათვალისწინების მიზნით
10	10.7.3	T10-12;10-13	ეს პუნქტი შემოწმდა და შესწორდა დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად; ვალდებულებების განმეორებითი აღნიშვნების თავიდან აცილების და საჭიროებისამებრ წინა პუნქტებზე ჯვარედინი მითითებების მიზნით.
10	10.7.4		ეს პუნქტი შემოწმდა და შესწორდა დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად, რაც უფრო დეტალურად არის აღწერილი C2 დანართში
10	10.8.3	T10-18; T10-19	დაინტერესებულ მხარეთა შენიშვნების პასუხად, A23 საკითხს დაერთო დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები, რაც უფრო დეტალურად არის აღწერილი C2დანართში
10	10.12.3	T10-36	დაინტერესებულ მხარეთა შენიშვნების პასუხად, ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები შემოწმდა და შესწორდა, რაც უფრო დეტალურად არის აღწერილი C2დანართში
10	10.13.4		ეს პუნქტი შემოწმდა დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად, რაც უფრო დეტალურად არის აღწერილი C2 დანართში

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

პასუხები დაინტერესებული მხარეების შენიშვნებზე და საჯარო განხილვის დასრულების შემდგომი განახლებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი/ სურათი/ ვალდებულება	აღწერა
10	10.14.3	T10-39	ეს პუნქტი შესწორდა დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად, რაც უფრო დეტალურად არის აღწერილი C2 დანართში.
10	10.15.3		ჩამატებულია ტექსტი ექსპლუატაციის დროს ინფრასტრუქტურის ობიექტების მომარაგებისთვის მიწისქვეშა წყლების გამოყენების შესახებ
12	12.4.2		ჩამატებულია ტექსტი მდინარეების გადაკვეთის ადგილებში მილსადენის გაშიშვლების პოტენციური ზემოქმედებების შესახებ დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად
14	14.3.2	T14-3	დამატებული იქნა მეორადი და არაპირდაპირი ზემოქმედებების შეჯამება, იმ ზოგიერთი საკითხის ჩათვლით, რომლებიც ამოღებული იქნა 14-1 და 14-2 ცხრილებიდან, რადგან ეს ზემოქმედებები განისაზღვრა, როგორც მეორადი ზემოქმედება
დანართი B	B-2		B-2 ცხრილში გამოყოფილია მეორადი ზემოქმედებები და მე-10 თავში მოყვანილია განმარტება
დანართი E	CMTMT	6.22	დაინტერესებულ მხარეთა კომენტარების პასუხად დამატებულია ახალი ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს კომპლექსურ შემოწმებას ციმბირის წყლის რისკის აღმოჩენის და მართვის მიზნით,
დანართი E	CMTMT	6.25	დაინტერესებულ მხარეთა კომენტარების პასუხად დამატებულია ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს მუშაობის შეჩერებას ცხოველთა ამოცნობილი სამარხების აღმოჩენის შემთხვევაში, სანამ არ ჩატარდება ნიმუშების აღება და ანალიზი.
დანართი E	CMTMT	10.18	შეიცვალა ვალდებულების ფორმულირება, რომლის თანახმად პროექტის წარმომადგენელთა ნებართვა აუცილებელია სატრანსპორტო საშუალების მდინარეში შესვლამდე, ხოლო მანამდე აუცილებელია სატრანსპორტო საშუალების წინასწარი შემოწმების ჩატარება. სამშენებლო საგზაო მოძრაობა ძირითადად გადაკვეთს მდინარეებს ხელოვნური არხის/წყალგამტარი ხიდის მეშვეობით, რომლის ზომაც საკმარისი იქნება თევზების და წყლის სხვა ორგანიზმების გასასვლელად (ეს ცვლილება წარმოადგენს პასუხს დაინტერესებული მხარეების კომენტარებზე). მითითებული კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე ამოღებული იქნა ვალდებულებებიდან და განთავსდა თანდართულ ტექსტში, რადგან ეს ვალდებულება მოქმედებს არა მარტო ალგეთზე და CSG2-ის მისასვლელ გზაზე.
დანართი E	CMTMT	10.22	დამატებულია ახალი ვალდებულება, რომლის თანახმად სატრანსპორტო საშუალებების, დანადგარების და აღჭურვილობის რეცხვა მდინარის წყალში არ მოხდება

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

პასუხები დაინტერესებული მხარეების შენიშვნებზე და საჯარო განხილვის დასრულების შემდგომი განახლებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი/ სურათი/ ვალდებულება	აღწერა
დანართი E	CMTMT	11.03	ამ ვალდებულებაში შესული ცვლილება მოითხოვს წინასამშენებლო ტექნიკური (საინჟინრო), სოციალური და ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას გადაკვეთის ადგილებში, სადაც საჭიროა კაშხლების აშენება ცირკულარული მორწყვის საჭიროების განსახილველად. ეს პუნქტი შეიცვალა დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად
დანართი E	CMTMT	14.08	დამატებულია ახალი ვალდებულება, რომელიც მოითხოვს ჩამდინარე და გარემომცველი ზედაპირული წყლების მონიტორინგს მშენებლობის სტადიაზე
დანართი E	CMTMT	14.09	დამატებულია ახალი ვალდებულება მშენებლობის და ექსპლუატაციის დროს სითხეების გეგმიური ჩაშვების ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით, დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად
დანართი E	CMTMT	14.10	დამატებულია ახალი ვალდებულება მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში დაგეგმილი ჰაერის ემისიის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით, დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად
დანართი E	CMTMT	15.01	დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად, ამ ვალდებულებაში შესულია ცვლილება, რომელიც კრძალავს ჰიდრაულიკური ტესტირებისთვის მიწისქვეშა წყლების გამოყენების.
დანართი E	CMTMT	15.02	დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად, ამ ვალდებულებაში შესულია ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს ახალი და არსებული წყალაღების მდგრადობის შეფასებას
დანართი E	CMTMT	17.15	დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად დამატებულია ახალი ვალდებულება ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ხეების მარაგების აღრიცხვასთან დაკავშირებით.
დანართი E	CMTMT	18.05	დამატებულია ახალი ვალდებულება ტრანსპორტირებამდე ყველა დანადგარის და აღჭურვილობის შემოწმებასთან დაკავშირებით
დანართი E	CMTMT	19.05	ამ ვალდებულებაში შესული ცვლილება დამატებით განსაზღვრავს, რომ ტერმინი "პროდუქტი" მოიცავს მცენარეებს და კულტურული მემკვიდრეობის არტეფაქტებს, და რომ აღნიშნული საქმიანობა არ განხორციელდება პროექტის მოქმედების ზონის ფარგლებში
დანართი E	CMTMT	19.10	დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად დამატებულია ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს პრიორიტეტულ ზონებისთვის კონკრეტული ეკოლოგიური მართვის გეგმების მოთხოვნას.
დანართი E	CMTMT	20.03	დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად დამატებულია ახალი ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს გამაფრთხილებელი ბარიერების ან ნიშნების აღმართვას იმ ადგილებში, სადაც ხალხი, მწყემსების ჩათვლით, კვეთს მილსადენს ან CSG2-ის მისასვლელ მარშრუტს.

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

პასუხები დაინტერესებული მხარეების შენიშვნებზე და საჯარო განხილვის დასრულების შემდგომი განახლებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი/ სურათი/ ვალდებულება	აღწერა
დანართი E	CMTMT	24.05	დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად ამ ვალდებულებაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად ინფრასტრუქტურის ობიექტის მშენებლობის, ბანაკის და მილების შენახვის ზონების სიახლოვეს არსებული ფუტკრების სკები ასევე იქნება იდენტიფიცირებული.
დანართი E	CMTMT	28.23	ეს ვალდებულება დამატებულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამშენებლო მოედანთან მდებარე PAC-ის მაცხოვრებლებს ჰქონდეთ უპირატესი უფლება სამშენებლო ბანაკში სამუშაოდ მოწყობისას.
დანართი E	CMTMT	30.22	დამატებულია ახალი ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს ყველა ახალ მისასვლელ გზაზე სენსიტიური რეცეპტორების არიდებას
დანართი E	CMTMT	30.23	ამ ვალდებულებაში შესული ცვლილება მოითხოვს, რომ კონტრაქტორი პროექტით განსაზღვრულ ფარგლებში უნდა იმოქმედოს
დანართი E	CMTMT	30.24	დამატებულია ახალი ვალდებულება, რომლის თანახმად კონტრაქტორმა უნდა მოიპოვოს კომპანიის ნებართვა იმ დამატებითი მისასვლელი გზების გამოყენებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც პროექტის მისასვლელი გზები
დანართი E	CMTMT	32.08	ამ ვალდებულებაში შესული ცვლილება ასევე ითვალისწინებს გარეული ცხოველებისთვის ღია სივრცეების უზრუნველყოფას
დანართი E	CMTMT	32.17	დამატებულია ახალი ვალდებულება, წვდომის შეზღუდვის შესახებ მწყემსებთან კონსულტაციებთან დაკავშირებით
დანართი E	CMTMT	35.09	დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად დამატებულია ახალი ვალდებულება წინასწარ შეთანხმებებთან დაკავშირებით, მესამე მხარეების აქტივებზე ზეგავლენის მქონე სამუშაოების დაწყებამდე ხელმოსაწერი აღდგენის მოთხოვნების ჩათვლით,
დანართი E	CMTMT	36.03	დამატებულია ახალი ვალდებულება, სარწყავი არხების გაუმართაობის შედეგად მიწის და მოსავლის დაზიანებისთვის განკუთვნილი პროექტის პროცედურის გამოყენებასთან დაკავშირებით
დანართი E	CMTMT	37.20	დამატებულია ახალი ვალდებულება ყველა ახალი გზისთვის, რომელიც ექვემდებარება მულტი-დისციპლინარულ შეფასებას
დანართი E	CMTMT	39.02	ამ ვალდებულებაში შესული ცვლილება მოითხოვს სამუშაო უბნის შეფასებას ეკოლოგიის, კულტურული მემკვიდრეობის, სოციალური გარემოს, ეროზიის რისკის და დამატებითი ტერიტორიებისთვის წყლის რესურსების გათვალისწინებით
დანართი E	CMTMT	39.03	ეს ვალდებულება შესწორებული იქნა იმის განმარტებისთვის, რომ მომზადებული იქნება შეფასების ანგარიში

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

პასუხები დაინტერესებული მხარეების შენიშვნებზე და საჯარო განხილვის დასრულების შემდგომი განახლებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი/ სურათი/ ვალდებულება	აღწერა
დანართი E	CMTMT	D12.06	ეს ვალდებულება განახლდა მდინარის გადაკვეთის გეგმასთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეთა კომენტარების პასუხად
დანართი E	CMTMT	D32.01	დამატებული იქნა ახალი ვალდებულება, ადგილობრივი მისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ CSG2 მისასვლელი გზის მახლობლად, დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად
დანართი E	CMTMT	D5.079	ეს ვალდებულება შეიცვალა და ითვალისწინებს წყლის მოპოვებამდე IUCN/GRL-ის (ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირი/გეოფიზიკური კვლევები) შესაბამისად ცხოველთა სახეობების შეფასებას, სამუშაო უზნისთვის განკუთვნილ შეფასების შემუშავებას უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების დასახვისთვის, ვინაიდან ეს ზომები შეიძლება განსხვავდებოდეს ქვირითის ყრის პერიოდში.
დანართი E	CMTMT	D5.106	დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად, ვალდებულება შეიცვალა და ითვალისწინებს ჩამდინარე წყლების ჩაშვებას ნებართვით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისად
დანართი E	CMTMT	OP01	ამ ვალდებულების ნუმერაცია შეიცვალა 7.10-ით და ვრცელდება როგორც მშენებლობაზე, ასევე CSG2-ს ექსპლუატაციაზე, რადგან სხვა ობიექტებზე არ იქნება დიზელის საწყობი
დანართი E	CMTMT	OP05	ამ თავდაპირველი ვალდებულების ნომერი გახდა 7.11, დამატებულია ახალი ტექსტი, რომელიც აღწერს ობიექტზე შემოზვინვის მომზადებას
დანართი E	CMTMT	OP06	ამ ვალდებულების ნომერაცია გახდა 7.12 და ვრცელდება როგორც მშენებლობაზე, ისე ექსპლუატაციაზე.
დანართი E	CMTMT	OP07	ამ ვალდებულების ნომერაცია გახდა 7.13 და ვრცელდება როგორც მშენებლობაზე, ისე სამეურნეო საქმიანობაზე.
დანართი E	CMTMT	OP131	ეს ვალდებულება განახლდა მდინარის გადაკვეთის ადგილებზე უარყოფით ზეგავლენასა და შემარბილებელ ზომებთან დაკავშირებული დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად.
დანართი E	CMTMT	OP143	ეს ვალდებულება განახლდა მდინარის გადაკვეთის ადგილებზე უარყოფით ზეგავლენასა და შემარბილებელ ზომებთან დაკავშირებული დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად.
დანართი E	CMTMT	OP144	დაინტერესებული მხარეების კომენტარების პასუხად დამატებულია ახალი ვალდებულება მდინარის გადაკვეთის ადგილებში დამატებითი პროფილაკტიკური სამუშაოების შესახებ.
დანართი E	CMTMT	X13.02	დაინტერესებული მხარეების კომენტარებზე პასუხად, ეს ვალდებულება განახლებული იქნა და ითვალისწინებს კონსულტაციებს მესაქონლეებთან CSG2 მისასვლელი გზის მახლობლად.

პასუხები დაინტერესებული მხარეების შენიშვნებზე და საჯარო განხილვის დასრულების შემდგომი განახლებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი/ სურათი/ ვალდებულება	აღწერა
დანართი E	CMTMT	X6.04	დაინტერესებული მხარეების კომენტარებზე პასუხად, დამატებულია ვალდებულება ციმბირის წყლულის ცნობილი კერის გარშემო შემოღობვის დატოვების და რისკების შესახებ სამუშაოებში მონაწილე პირთა ინფორმირების შესახებ
დანართი E	CMTMT	X7.03	დაინტერესებული მხარეების კომენტარებზე პასუხად დამატებულია ვალდებულება მტკვარის გადაკვეთის ადგილებზე ამოჩეხილი ხეების ხელახალ დარგვასთან დაკავშირებით

ცხრილი 2: განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები

განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი / სურათი / ვალდებულება	აღწერა
1	1.3		CSG1 განლაგდება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის არსებულ ობიექტთან ერთად რუსთავის სიახლოვეს
1	1.3		წნევის დაწევის და აზომვის სადგურის აღწერას დაემატა „განლაგებულია არსებულ SCP სადგურთან ერთად, ზონა 80“
1	1.6	T1-1	შესწორდა მე-10 თავის შინაარსი; ლანდშაფტის მოდელირება აგრეთვე შევიდა დანართ A-ში; დამატებულია დანართი C1, C2 და C3 და მათი შინაარსი
1	1.5.3		შესწორდა სკრინინგის განსაზღვრება და პროექტის განსაზღვრა დამატებულია, როგორც ეტაპი ESIA-ს პროცესის ფარგლებში
2			განხილული იქნა ტერმინოლოგიის ლექსიკონი და შეტანილი იქნა დამატებითი განსაზღვრებები
3	3.5		განიმარტა, რომ კონსულტაციები არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მეცნიერულ წრეებთან ასევე ჩატარდა ESIA-ს მასშტაბის განსაზღვრის მიზნით
3	3.8		დამატებულია ნიადაგის კვლევა და დამატებითი ინფორმაცია სოციო-ეკონომიკური კვლევების შინაარსის შესახებ
3	3.9.2		განახლდა გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრება, რათა განმარტებული ყოფილიყო, რომ შერბილება მოიცავს ზემოქმედებების არა მხოლოდ მართვასა და შემცირებას, როგორც ეს ადრე იყო აღნიშნული, არამედ ზემოქმედებების თავიდან აცილების, აღკვეთის, შემცირების ან კომპენსირების ღონისძიებებსაც
3	3.9.6		ჩამატებულია ტექსტი HIA-ს (ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასება) ESIA-სთან კავშირის განმარტების მიზნით
3	3.9.6		დამატებულია ტექსტი გარემოს მგრძობელობის და მასშტაბის ცხრილების განმარტების მიზნით
3	3.9.6		მიწისქვეშა წყლები: აღსანიშნავია, რომ ამჟამად არ არის დაგეგმილი მიწისქვეშა წყლების გამოშვება
3	3.9.6	T3-12	შესწორებული იქნა ცხრილი, მტვრისთვის გამოყენებული მგრძობელობის კრიტერიუმებს და NO2-ის, ბენზოლის და PM10-სთვის გამოყენებული მგრძობელობის კრიტერიუმებს შორის განსხვავების განმარტების მიზნით
3	3.9.6		სამშენებლო ხმაურის ნორმები ერთ თვეზე მეტი ხნით მიმდინარე სამუშაოებისთვის გამოყენებული იქნება უფრო ხანმოკლე სამუშაოებისთვის, იმის მიუხედავად, რომ მათი გამოყენება მკაცრად არ მოითხოვება

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი / სურათი / ვალდებულება	აღწერა
3	3.9.6		სოციალური ზეგავლენა: სქოლიო 1 - შესწორდა იმის განმარტების მიზნით, რომ მიწის შექმნა ნიშნავს მიწით სარგებლობის უფლების სამუდამოდ დაკარგვას, და სარგებლობის შემდგომ შეზღუდვას ობიექტს ექსპლუატაციის დროს
3	3.1		მეთოდოლოგიას, ასევე, დაემატა დაუგეგმავი მოვლენების რისკის შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც ადრე აღწერილი იყო მე-12 თავში
3	3.12		ტექსტში შეტანილია შესწორება, რომლის თანახმად იმ ცვლილებების შემთხვევაში, რომელთაც შეუძლიათ პროექტიდან გამომდინარე ზემოქმედებების მნიშვნელოვნად შეცვლა, ამის შესახებ უნდა ეცნობოს გარემოს დაცვის სამინისტროს
4	4.3.2		მოცემულია განმარტება, რომლის თანახმად პარალელური მილსადენი არის როგორც აზერბაიჯანში, ასევე საქართველოშიც მე-3 და მე-2 ვარიანტებისთვის და A, B და C-თვის, ასევე დამატებულია, რომ ყველა ვარიანტი მოითხოვს დამატებითი საკომპრესორო სადგურის მშენებლობას სანგაჩალში, რაც ESIA -ის ფარგლებს სცილდება.
4	4.4.1		ტექსტში შეტანილია შესწორება, რომლის თანახმად არცერთი ადრე არსებული სამშენებლო ბანაკის ან სასაწყობო ზონის განმეორებით გამოყენება არ არის შესაძლებელი, როგორც ეს მოგვიანებით იყო აღწერილი მე-4 თავში.
4	4.4.3		განახლდა ტექსტი BTC/SCP მილსადენის არსებული მარშრუტიდან გადახრის შესახებ, ციცაბო ფერდობის ქვედა ნაწილში კმ52-55-დან გადახრის გამო.
4	4.6.3		დამატებული იქნა განმარტება, რომ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პოტენციური ზემოქმედებების თვალსაზრისით არ არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობა PRMS-ის განლაგების ვარიანტებს შორის
4	4.7.2		დაზუსტდა, რომ უბნის ენერგომომარაგება მოიცავს შენობის გათბობას, განათებას, და არა აირის კომპრესიას ან გათბობას, რადგან ეს შერჩეული ვარიანტები განხილული და განსაზღვრული იქნა წინა პუნქტებში
4	4.7.3		განიმარტა, რომ DLE წვის სისტემით აღჭურვილ კომპრესორის აირტურბინებს ტექნიკურად შეუძლია ჰაერში შესაბამისი <u>ემისიის</u> სტანდარტების მიღწევა (მაგ., საზომი ტურბინის საკვამლე მილის შიგნით)
4	4.7.4		პროექტის განხორციელების განახლებული გეგმა ითვალისწინებს, რომ მცენარეული საფარი დარჩება ვენტილაციის დაცული ზონის უფრო დიდ ნაწილში, ვენტილაციის უზრუნველყოფის და ტექნიკური მომსახურებისთვის საჭირო ტერიტორიის გარდა

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი / სურათი / ვალდებულება	აღწერა
4		4.8.1	განიმარტა, რომ კომპრესორის მამოძრავებელი აღჭურვილობის ზომა გათვლილია ისე, რომ შეძლოს აუცილებელ მაქსიმალურ სიმძლავრეზე 5%-ით მეტის მიწოდება 13%-ის ნაცვლად.
4	4.9.2		დამატებული იქნა პუნქტი CSG2 მისასვლელი გზის მიკრო მარშრუტიზაციის შესახებ, დამატებითი ინფორმაციის ასახვის მიზნით
4	4.10.1		დამატებულია CSG2 მისასვლელი გზის ბანაკი და ალტერნატიული ვარიანტები, რადგან ამ უბნის აუცილებლობა და მისი ადგილმდებარეობა უკვე დადგინდა
4	4.10.1	F4-15	დამატებულია მილსადენის ბანაკის განახლებული ადგილმდებარეობა, ჯანმრთელობის დაცვის და უსაფრთხოების მიზეზების გამო
4	4.10.1	F4-16	განახლდა რკინიგზის გადმოტვირთვის ახალი ზონის ადგილმდებარეობა, რომელიც გადავიდა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, რკინიგზის იგივე ხაზის გასწვრივ
4	4.10.1		ეს თავი განახლდა PRMS-თან სამშენებლო მოედნის ადგილმდებარეობის ორი ვარიანტის შენარჩუნების და ყველაზე შესაფერისი ვარიანტის შერჩევის შესახებ პროექტის გადაწყვეტილების ასახვის მიზნით, მშენებლობის დაწყებამდე ჩატარებული ეკოლოგიური კვლევის შედეგების საფუძველზე.
4	4.10.2	F4-18	სექცია განახლდა, რათა აისახოს, რომ ვარიანტი A განისაზღვრა, როგორც CSG1-თან მისასვლელი გზა
5	5.2.1	F5-2	დამატებულია პროექტის რეალიზაციის განახლებული გრაფიკი და ამ თავში მოყვანილი განმარტების ტექსტი შესაბამისად შესწორდა
5	5.2.2	T5-1	ცხრილში განახლდა CSG2 მისასვლელი გზის ბანაკის სამშენებლო მოედანი, მილსადენის სამშენებლო დერეფნის ზონა, რომელიც ქვემოთ მოყვანილ ტექსტშია ნახსენები, მაგრამ ცხრილში შეცდომით იყო ჩასმული, აგრეთვე შემცირებული CSG1 ზონა და გაზრდილი PRMS ზონა. გაზრდილია CSG1-ის მუდმივი ტერიტორია, თუმცა მისი დიდი ნაწილი წარმოადგენს სავენტილაციო ზონას, რომელიც ახლა ძირითადად დარჩება, როგორც ბუნებრივი მცენარეული საფარი. ამის ასახვის მიზნით აგრეთვე განახლდა პროექტის მოქმედების ზონის სავარაუდო საერთო ღირებულება.
5		T5-1 - 5-3	განახლდა დასახელებები ტერიტორიის სავარაუდო მოთხოვნების განმარტებისთვის
5	5.2		პროექტის შემუშავების ეტაპების აღწერის მიზნით განახლებულია პუნქტი 5.2

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი / სურათი / ვალდებულება	აღწერა
5	5.2.2	T5-3	მილსადენის სამშენებლო დერეფანი (რომელიც წინათ შეყვანილი იყო მხოლოდ ტექსტში), CSG1 ბანაკი (გადატანილია 5-2 ცხრილიდან), CSG2 მისასლელი გზის სამშენებლო მოედანი (ახალი უბანი) და PRMS ბანაკი და მისასლელი გზა (გამოტოვებული) დამატებული იქნა ცხრილში. ტექსტში დამატებულია განმარტება, რომ მილსადენის სამშენებლო დერეფანი მუდმივ სარგებლობის უფლებით იქნება შესყიდული.
5	5.2.2		ამ პუნქტს დაემატა ვალდებულებები 39-02 და 39-03.
5	5.3.2	F5-3	ამ სურათს დაემატა მილსადენის ბანაკის განახლებული ადგილმდებარეობა
5	5.3.2		მილსადენის მარშრუტი გადახრილია SCP მარშრუტიდან ლტხ ადგილას, ამ პარაგრაფის თანახმად.
5	5.3.3		ჩასმულია დგუმის სადგურზე თერმოელექტროგენერატორების გამოყენების საკითხი
5	5.4.1	T5-5	განახლდა მილსადენის მშენებლობის გრაფიკი
5	5.4.2	F5-9	ნახაზი განახლებულია პროექტის მიმდინარე გრაფიკის შესაბამისად
5	5.4.2	F5-10	განახლდა ნახაზი ფოლადანთკარში ახალი ბანაკის ადგილმდებარეობის და რკინიგზის გადატვირთვის ახალი ზონის ადგილმდებარეობის ასახვის მიზნით
5	5.4.2		მილსადენის ბანაკის ადგილმდებარეობა გადატანილი იქნა გამრჯვებიდან ფოლადანთკარში
5	5.4.4		შეტანილია ცვლილებები აღნიშნულ პუნქტში, რომლის თანახმად წინასწარ დაუფარავი მილი დაიფარება მილსაწყობში
5	5.4.6		განმარტებულია, რომ 5-6 ცხრილში მოცემული რიცხვები მიახლოებითია.
5	5.4.7		დაზუსტდა, რომ გვერდით ფერდობებზე სამშენებლო დერეფანს ექნება დამატებითი სიგანე
5	5.4.7		საერთო ჯამში, SCPX სამშენებლო დერეფნის სიგანე იქნება 36მ, 7 მ. სიგანის მქონე ნიადაგის ზედა ფენის გროვის ჩათვლით.
5	5.4.7		ამ პუნქტს დაემატა ვალდებულება 30-23
5	5.5.1		ამჟამად დამატებულია ენერგომომარაგების მოთხოვნები თითოეულ საკომპრესორო სადგურზე - 66მგვტ
5	5.5.1		დამატებულია უბნის ენერგომომარაგების განსაზღვრება CSG1-სთვის
5	5.5.1		ამოღებულია CSG1-ს დიზელის გამანაწილებელი სისტემა, რადგან არ მოხდება ამ ობიექტის გამოყენება PSG1-თან ერთობლივად.
5	5.5.1 - .2		განიმარტა, რომ აირ შემამჭიდროვებლებიდან აირის გაჟონვა წარმოადგენს კომპრესორის მუშაობის ნორმალურ ნაწილს
5	5.5.4		დამატებულია WBH ნომინალური სითბოს წარმოება 4.7 მგვტ-ის ოდენობით

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი / სურათი / ვალდებულება	აღწერა
5	5.5.4		ეს პუნქტი შეიცვალა PRMS-ზე ელექტროენერჯის გამომუშავების ახალი კონცეფციის გათვალისწინების მიზნით, რომლის მიწოდებაც მოხდება ზონა 80-ის ახლომდებარე ძრავებიდან.
5	5.5.4		დამატებულია უზნის ენერგომომარაგების განსაზღვრება PRMS -სთვის
5	5.5.4		ამოღებულია ხმაურის ჩახშობის ზომები PRMS-ზე არსებული ახალი ელექტროენერგეტიკული დანადგარებისთვის, რადგან ეს დანადგარები აღარ არის საჭირო - ამის ნაცვლად ელექტროენერჯის გამომუშავება მოხდება არსებული ძრავების გამოყენებით
5	5.5.4		ამოღებულია PRMS-ის დიზელის რეზერვუარი და სისტემა, რადგან ზონა 80-თან ინტეგრაციის გამო იგი აღარ არის საჭირო
5	5.5.5		CSG1/PSG1-ზე და PRMS/ზონა 80-ზე ინტეგრაციის გამო, ნავთობის შემცველი წყლის სეპარატორები ამ უბნებზე არ დამონტაჟდება. შესაბამისად განახლდა პუნქტი ნავთობის შემცველი წყლის სისტემის შესახებ, ასევე შევიდა ცვლილება ყველა მონაკვეთზე ცენტრალიზირებული სისტემის ნაცვლად ადგილობრივ დონეზე დამცავი კედლის გამოყენების შესახებ.
5	5.6		ამ თავს დაემატა ტექსტი, რომელიც აღწერს ESIA-სთან კავშირს ESMMP -ს ჩათვლით
5	5.6.1	F5-3	ნახაზი განახლდა CSG2-ის მისასვლელი გზის სამშენებლო მოედნის ადგილმდებარეობის ასახვის მიზნით
5	5.6.1		დამატებულია ორი პოტენციური ვარიანტი PRMS-ის სამშენებლო მოედნისთვის, რათა შერჩეულ იქნას სასურველი ადგილმდებარეობა, მულტი-დისციპლინარული შეფასების და ეკოლოგიური კვლევის საფუძველზე
5	5.6.1		ტექსტში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად CSG2-ის გზის მშენებლობისას შეიძლება დამონტაჟდეს ბეტონის და ასფალტის შემრევი დანადგარები
5	5.6.2	F5-33	ახალი საპროექტო გეგმის შესაბამისად, განახლდა მთლიანი სამშენებლო მუშახელის ამსახველი სურათი, შესწორებული სამუშაო ძალის პროფილით
5	5.6.3		ეს სექცია განახლებულია მე-4 თავთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რადგან ობიექტის ძირითადი აღჭურვილობის დიდი ნაწილის ტრანსპორტირება სამუშაო უბანზე მოხდება საავტომობილო გზის მეშვეობით
5	5.6.3	F5-34	ეს ნახაზი განახლებულია CSG2 მისასვლელი გზის ბანაკის ადგილმდებარეობის დამატების მიზნით

განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი / სურათი / ვალდებულება	აღწერა
5	5.7.3		განახლდა კომპლექსური აღდგენის კონცეფცია, რათა სამუშაოების დროს არ დარჩეს რომელიმე მისადგომი გზა და ტერიტორიებზე შეძლებისდაგვარად ხელახალი შეთესვა მოხდეს. ამ თავს ასევე დაემატა ტექსტი ღობეების, მომსახურების, შენობების, გზების, ბილიკების, ტროტუარების მინიმუმ მშენებლობამდე არსებულ მდგომარეობამდე აღდგენასთან დაკავშირებით
5	5.8.2		ეს პუნქტი განახლებულია ობიექტის წყლით მომარაგების წყაროების აღწერის მიზნით
6	6.2.4		დაზუსტდა, რომ HGA წარმოადგენს ძირითად სამართლებრივ რეჟიმს საქართველოში SCP და SCPX პროექტებისთვის
6	6.6.1	T6-5	ფოსფორის და აზოტის დამატებული სტანდარტების გამოყენება დაექვემდებარება რისკის შეფასებას, რათა განისაზღვროს, მოწყვლადია თუ არა მიმღები გარემო ევტროფიკაციის მიმართ, და შესაძლებელია თუ არა მიმღებ გარემოში დონეების გადაჭარბება
6	6.6.7	T6-11	გაზის ძრავებისთვის ჰაერის ემისიის სტანდარტები ამოღებულია, რადგან SCPX არ დაამონტაჟებს ახალ ძრავებს
6	6.7.1		BP-ს ქვევის კოდექსის ნაწილი შეიცვალა კოდექსის არსებულ ვერსიასთან შესაბამისობის მიზნით
7			ტექსტი სენსიტიურობის (უარყოფითი ზემოქმედებისადმი მგრძობელობის) შესახებ თითოეული პუნქტის ბოლოს განახლებული იქნა მე-10 თავში მოყვანილ ტექსტთან შესაბამისობის მიზნით.
7	7.4.3		დამატებულია ჯვარედინი მითითება ESRB-ის (ანგარიში ეკოლოგიური და სოციალური ბაზისის შესახებ) და ESIA-ს შესაბამის პუნქტებზე
7	7.7.2.6		ეს ნაწილი დამატებულია CSG2 მისასვლელი გზის სამშენებლო მოედნის მდებარეობის ადგილზე ჩატარებული კვლევის ასახვის მიზნით
7	7.7.3.8		ეს პუნქტი განახლდა საბაზისო კვლევის შედეგებით CSG2 მისასვლელი გზის ბანაკის ეკოლოგიური კვლევიდან
7	7.7.3.10		ეს პუნქტი დამატებულია PRMS-ის სამშენებლო მოედნის პარამეტრების საბაზისო ეკოლოგიური პირობების აღწერის მიზნით
7	7.7.4.4		ეს პუნქტი განახლდა CSG2 მისასვლელი გზის გასწვრივ ღალღას არსებობის ასახვის მიზნით, რაც აღნიშნული იქნა წინა პუნქტებში
7	7.8.1.3		ჩასმულია განმარტება იმის შესახებ, რომ წალკის მახლობლად მდებარეობს ნავთობის ავარიული დაღვრის ლიკვიდაციის ბაზა (OSRB)

განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი / სურათი / ვალდებულება	აღწერა
7	7.8		განახლებულია ჰაერის ხარისხის საბაზისო მაჩვენებლები, სადაც შევიდა ESIA-ის საჯარო განხილვის პერიოდში ჩატარებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შემდგომი კვლევების შედეგები
7	7.10.3		დამატებულია ინფორმაცია, CSG2-ის მისასვლელი გზის სამშენებლო მოედნის ძირითადი კულტურული მემკვიდრეობის აღწერის მიზნით
7	7.10.4.1		დამატებულია ინფორმაცია, პარალელური მილსადენის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძირითადი ადგილების დაზუსტების მიზნით, BTC/SCP-ს დაარქივებული მონაცემების დამატებითი შესწავლის შემდეგ
7	7.10.4.3		დამატებულია ინფორმაცია CSG2 მისასვლელი გზის სამშენებლო მოედნის ძირითადი კულტურული მემკვიდრეობის აღწერის და CSG2-ის მისასვლელი გზის შესახებ უფრო მეტი საწყისი მონაცემების მიწოდების მიზნით, რომელიც შეგროვებული იქნა კულტურული მემკვიდრეობის შეფასების მე-2 ფაზისთვის მომზადების პერიოდში
7	7.10.5		ეს პუნქტი განახლებულია ახალდამატებულ საბაზისო ინფორმაციასთან შესაბამისობაში მიზნით
8	8.2.2		ჩამატებულია ტექსტი, რომლის თანახმად საბაზისო მაჩვენებლები ასახავს თავდაპირველად განსაზღვრული 39 PAC-ზე ჩატარებული კვლევის შედეგებს, და ამის განახლება არ ჩაითვალა საჭიროდ აღნიშნულ მაჩვენებელთა და 6 PAC-ის მაჩვენებელთა შორის არსებული მსგავსებებს გამო, რომლებიც დამატებული იქნა საჯარო განხილვის ეტაპზე.
9	9.4.2		განახლებული და ჩამატებულია PAC-ის მაჩვენებლები მილსადენის ბანაკის განლაგების და CSG2 მისასვლელი გზის ბანაკის განლაგების გათვალისწინებით
9	9.5.5		დამატებულია ტექსტი სამთავრობო ორგანოებთან კონსულტაციების შესახებ SCPX-ის სიახლოვეს განლაგებულ სხვა პროექტებთან დაკავშირებით
10	10.1		დამატებულია ტექსტი, რომლის თანახმად დაუგეგმავი მშენებლობის ეტაპის ღონისძიებები მე-10 თავშია განხილული
10	10.1.1		DE = დაზუსტდა ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულება და ჩამატებულია დამატებითი პარაგრაფი, სადაც განმარტებულია, როდის გამოიყენება სტანდარტული ვალდებულებები
10	10.1.1		დამატებულია ახალი პუნქტი, სადაც შეჯამებულია პოტენციურ ცვლილებებთან დაკავშირებული უარყოფითი გავლენის შემარბილებელი სტანდარტული ზომები

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი / სურათი / ვალდებულება	აღწერა
10	10.1.5.2		ამ თავს დაემატა კუმულაციური ზემოქმედებების გათვალისწინებასთან დაკავშირებული პარაგრაფი, რათა განმარტებულიყო, თუ როგორ იქნა გადაწყვეტილი არსებულ და სამომავლო პროექტებთან დაკავშირებულისაკითხები
10	10.1.6		დამატებულია პუნქტი ცვლილებების მართვის შესახებ, ამ თემასთან დაკავშირებული წინა ვალდებულებების შეჯერების საფუძველზე
10	10.2.2		დამატებულია ჯვარედინი მითითება მე-12 თავზე იმის შესახებ, თუ როგორ არის დაგეგმილი ინფრასტრუქტურა გეოლოგიური სენსიტიურობის გათვალისწინების მიზნით
10	10.2.3		დამატებითი ჯვარედინი მითითება დაერთო ზემოქმედების შეფასების სხვა თავებს, რომლებიც ეხება გეოლოგიასა და გეომორფოლოგიასთან დაკავშირებულ ზემოქმედებებს
10	10.3.2		ელექტროგადაცემის საჭირო ხაზების ქვეშ გამავალი მილსადენის გადაკვეთის ადგილები დამატებულია, როგორც უარყოფითი ზემოქმედებისადმი სენსიტიურ რეცეპტორი.
10	10.3.3		ინფრასტრუქტურის უბნები, სადაც მიმდინარეობს ნიადაგის ფენის მოცილება, განახლდა 05 თავთან შესაბამისობის მიზნით.
10	10.3.3	T10-4	ვალდებულება 2-05, OP61 დაემატა A2 საკითხს
10	10.3.3	T10-4	ვალდებულებები 3-07, 3-08, 3-17, 4-18 იყო ამოღებული და დაემატა A3 საკითხს
10	10.3.3	T10-4	ვალდებულებები 4-15 და 4-22 იყო ამოღებული და დაემატა A4 საკითხს
10	10.3.3	T10-4	ვალდებულება D5-065 დაემატა A4 საკითხს და 2-06 ამოღებული იქნა
10	10.3.3	T10-4	საკითხი A6 განახლდა სხვა დაბინძურებულ ტერიტორიებთან მიმართებაში და შესაბამისად დაერქვა "ცნობილი/გაურკვეველი სახის დაბინძურებული ტერიტორიის დაზიანება, დამუშავება და განთავსება". დამატებულია ვალდებულებები 6-13, 6-14, 6-16, 6-22 და X6-04
10	10.3.3	T10-4	ვალდებულებები 6-24, 7-08, 7-10, 7-11, 7-12, 7-13, 7-14, 7-15, D5-029 დაემატა A7 საკითხს, ხოლო OP-05 – OP07 ამოღებულია.
10	10.4.1		კარიერიდან ამოღებული მასალების და ნაყარი გრუნტის ჩამარხვის ორმოები დაემატა მიწის დროებითი სარგებლობის სიას
10	10.4.3		მილსადენის ბანაკი აღარ არის განლაგებული მიტოვებულ ნაკვეთზე (ბროუნფილდზე), როგორც ეს განსაზღვრულია 04 თავში, ამიტომ ეს განცხადება შესწორდა.
10	10.4.3	T10-7	ვალდებულებები 9-02 და 9-04 დაემატა A9 საკითხს
10	10.4.3	T10-7	ვალდებულებები D8-01, 3-20 და X4-04 ამოღებულია, დამატებულია X4-03, X3-02, 8-03 და OP141

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი / სურათი / ვალდებულება	აღწერა
10	10.5.1		ბურღვის შლამის შემთხვევით გავრცელების და დანალექის გაზრდილი ჩამონადენი დაემატა პროექტის ასპექტების ჩამონათვალს, მისი შევსების მიზნით, რადგან ეს მოვლენები შეფასებული იყო 10-9 ცხრილში
10	10.5.2		ტექსტში შეტანილია შესწორება, რომლის თანახმად „მდინარეები ალგეთი და ქცია მოედინება ზონებიდან, რომლებზეც სამეურნეო საქმიანობა არ ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას“
10	10.5.3		"დინების სიჩქარის" ქვეპუნქტს გადაერქვა "წყალაღება", ხოლო წყალმომარაგების ნორმაზე ზემოქმედების მაჩვენებლები გადმოვიდა 10.15 პუნქტიდან ამ პუნქტში.
10	10.5.3	T10-9	პოტენციური ზემოქმედება „ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მდინარით სარგებლობის შესაძლო შეზღუდვა დინების შემცირების გამო“ გადმოვიდა 10.15 პუნქტიდან ამ ცხრილში
10	10.5.3	T10-9	ვალდებულება 3-23, 31-05, 14-02, 14-06 ამოღებულია A7 საკითხიდან გამეორებების თავიდან აცილების მიზნით, და ტექსტში გაკეთდა მითითება 10.4.3 პუნქტზე. დამატებული იქნა ვალდებულებები 6-08, 6-26, 7-10-დან 7-13, OP41-43-მდე
10	10.5.3	T10-10	პოტენციური ზემოქმედება „არხის შეფერხებული დინება უარყოფით ზეგავლენას ახდენს ქვედა დინებით მოსარგებლე პირებზე“ გადავიდა 10.15 სექციიდან და დაემატა ამ ცხრილს. ცხრილი შესწორდა დანართი B-სთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით
10	10.6.3	T10-11	პოტენციური ზემოქმედება „ადგილობრივი მოსახლეობისთვის წყლის წყაროების შემცირებული რაოდენობა“ გადავიდა ქვეთავიდან 10.15 და დაემატა ამ ცხრილს.
10	10.6.3	T10-11	ვალდებულებების განმეორებითი აღნიშვნა ამოღებულია A7 საკითხიდან და პუნქტი 10.3.4 და 10.5.4-ს დაემატა ჯვარედინი მითითება
10	10.7.2		მითითება ღალდაზე შესწორდა, რათა აღწერილიყო, რომ ღალდას ინდივიდების რაოდენობა ადგილობრივი მკვლევარების მიერ შეფასებულია, როგორც შემცირებადი, და არა მოწყვლადი და ამგვარად, თავიდან ყოფილიყო აცილებული IUCN ოფიციალურ სტატუსთან აღრევა.
10	10.7.3		შესწორებულია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტერიტორიის მონაცემები 05 თავთან შესაბამისობის მიზნით, ასევე სავენტილაციო ზონები, რომლებიც რჩება ბუნებრივ მცენარეულ საფარად
10	10.7.3		დაზუსტებულია, რომ შეიძლება საჭირო გახდეს მტკვრის სანაპიროს ბუჩქნარის გაჩეხვა, რადგან ჯერ არ არის დადასტურებული, რომ ბუჩქნარი უნდა გაიჩეხოს
10	10.8.1		CSG1-ზე აგრეთვე არის 1+1 წყალგამაცხელებელი, ამიტომ განახლებული იქნა ბოლო პუნქტი საწვავის წვის შესახებ

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი / სურათი / ვალდებულება	აღწერა
10	10.8.2		ეს პუნქტი განახლდა ახალი საბაზისო ინფორმაციის შესაბამისად, რომელიც დაემატა 07 თავს
10	10.8.3	T10-18; 10-19; 10-20	განახლდა ატმოსფეროში ემისიების გაბნევის მოდელირების შედეგები CSG1-სთვის გამაცხელებლის ზომის გაზრდის გამო და PRMS-სთვის ელექტროენერჯის გამომუშავების კონცეპციის ცვლილების გამო. ეს განახლება არ მოახდენს გავლენას ზემოქმედებების შეფასებაზე. თუმცა გაკეთდა შესწორება მგრძობელობის შეფასებაში, მე-3 თავში მოყვანილი მეთოდოლოგიის თანახმად, საჯაროდ გამოქვეყნებულ ანგარიშში არსებული შეცდომის გამო. ზემოქმედებების შეფასება უცვლელად რჩება, CSG1-ზე ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელობის გარდა, რომელიც შემცირებულია დაბალ ნიშნულამდე იმის გათვალისწინებით, რომ საბაზისო ატმოსფერული ჰაერის ხარისხი ზოგადად კარგია, ხოლო ატმოსფერული ჰაერის ხარისხი შესაბამისი ნორმის 75%-ზე ნაკლებია
10	10.8.3	T10-19	შეფასების გადახედვის შემდეგ, კრწანისში ნარჩენი ზემოქმედება საშუალო მნიშვნელობის მქონედ შესწორდა, მე-3 თავში მოცემული მეთოდოლოგიის შესაბამისად
10	10.8.4		დაზუსტებულია, რომ, ელექტროენერჯის გამოყენება საქართველოს ელექტროქსელიდან შეამცირებს ემისიების საერთო რაოდენობას, რადგან საქართველოს ქსელში ჰიდროელექტროენერჯია ენერჯის ძირითად წყაროს წარმოადგენს.
10	10.9		PRMS-ზე განახლდა ხმაურის მოდელირების შედეგები ელექტროენერჯის გამომუშავების ახალი აღჭურვილობის ამოღების გამო. დამატებულია ხმაურის მოდელირების შედეგების ცხრილი 10-29 ყველა სამუშაო უბნისთვის.
10	10.9.3	T10-28	ეს თავი განახლდა PRMS ახალი გენერირების ექსპლუატაციიდან გამოყვანის შედეგად წარმოქმნილი ხმაურის მოდელირების შესწორებული ვარიანტით. დამატებითი შერბილებები დაერთო A25 საკითხს: განახლდა ვალდებულებები 37-10 და 37-20 და პოტენციური ზემოქმედებები, რათა ცნობილი ყოფილიყო მუშახელის ხმაურით შეწუხების პოტენციალი. შეფასდა ზემოქმედების მნიშვნელობა მილსადენის ბანაკის ახალი მდებარეობისთვის, რადგან იგი მოსახლეობასთან ახლოს მდებარეობს და არსებული ზემოქმედების შეფასება კრწანისში გაიზარდა საშუალომდე, წინა შეფასების გადახედვის შემდეგ
10	10.10.1		დაზუსტებულია, რომ საოპერაციო საქმიანობის დროს მცირემასშტაბიანმა სარემონტო სამუშაოებმა შეიძლება ზემოქმედენა იქონიოს კულტურული მემკვიდრეობის ადგილებზე.
10	10.10.2; 10.10.3	T10-33	პუნქტები სენსიტიურობის და პოტენციური ზემოქმედების შესახებ განახლდა მე-7 თავში შეტანილი შესწორებების შესაბამისად

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი / სურათი / ვალდებულება	აღწერა
10	10.10.4	T10-32	განახლდა პოტენციური ზემოქმედებები, რათა განმარტებულიყო, რომ ისინი უკავშირდება ნაკლებად ცნობილ ან ადრე უცნობ არქეოლოგიას; არქეოლოგიაზე ზემოქმედება განცალკევდა სხვადასხვა სტრიქონებში, შეფასების ნათლად წარმოჩენის მიზნით
10	10.11.1		განახლებულია ტექსტი პროექტის შესრულების გრაფიკის შესახებ
10	10.11.1	F10-17	ეს სურათი განახლებულია პროექტის მიმდინარე გრაფიკის შესაბამისად
10	10.11.2		დამატებულია სენსიტიურობის ძირითადი მონაცემები პენსიონერებთან, ინვალიდებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით CSG2-ს და PRMS-ის PAC-ების ფარგლებში
10	10.12.1		ჩამატებულია დამატებითი ინფორმაცია HIA-ს შესახებ
10	10.12.3	T10-36	სამედიცინო დაწესებულებებში ტრანსპორტის დაგვიანების უარყოფითი ზეგავლენის შერბილების შემდგომი ზემოქმედების მნიშვნელობა შემცირდა მაღალი დონიდან საშუალომდე, 03 თავში მოყვანილი მეთოდოლოგიის შესაბამისად.
10	10.12.3	T10-36	განახლებულია ვალდებულებები განმეორებების შესამცირებლად და დამატებულია ჯვარედინი მითითებები სხვა პუნქტებზე, სადაც აღნიშნული შემარბილებელი ღონისძიებებია განხილული.
10	10.13.1		პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მიწის ტერიტორიების ფართობი განახლდა მე-5 თავის შესაბამისად და სავენტილაციო ზონის დიდი ნაწილი ბუნებრივი მცენარეული საფარის სახით დატოვების შესახებ გადაწყვეტილების გათვალისწინებით. ასევე დაზუსტდა, რომ სამშენებლო დერეფნის საგანე შეიძლება 36 მ-ზე მეტი იყოს ციცაბო ფერდობებზე.
10	10.13.2		სენსიტიურობის მაჩვენებლები მოყვანილია შესაბამისობაში 08 თავთან და ტექსტი სარწყავი წყლისთვის წყლის წყაროებზე და ჭებზე დამოკიდებულების შესახებ გადავიდა 10.15 პუნქტიდან ამ პუნქტში.
10	10.13.4		მიწის სარგებლობიდან ამოღების მაჩვენებლები შესწორებულია 05 თავის შესაბამისად და სავენტილაციო ზონის დიდი ნაწილი ბუნებრივი მცენარეული საფარის სახით დატოვების გადაწყვეტილების გათვალისწინებით.
10	10.13.4	T10-37	განახლებულია საკითხი A36 სარწყავი წყლით მომარაგების შეზღუდულ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით
10	10.14.2		სენსიტიურობის მაჩვენებლები მოყვანილია შესაბამისობაში 08 თავთან და სარწყავი არხების დროებითი დაბლოკვის ნაწილი გადავიდა 10.13 პუნქტში
10	10.14.3		ეს პუნქტი განახლდა მიმდინარე გრაფიკის შესაბამისად და 10-39 ცხრილიდან ამოღებულ იქნა 19-05 ვალდებულება არსებული უზუსტობის გამო

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი / სურათი / ვალდებულება	აღწერა
10	10.15.2; 10.15.2	T10-40	შესწორდა სენსიტიურობის და პოტენციური ზემოქმედების მაჩვენებლები პუნქტის ცვლილების მიხედვით, მე-8 თავთან შესაბამისობის მიზნით. A35 საკითხს დაერთო D30-1 ვალდებულება, რადგანაც იგი, ასევე, არბილებს მესამე მხარის ინფრასტრუქტურის დაზიანებას
11	11.1		თავის შესწორების შემდეგ განახლდა შესავალი ნაწილი, ორი სახის კუმულაციური ზემოქმედების, დამატებითი და კომბინირებული ზემოქმედებების, ერთმანეთისაგან გარჩევის მიზნით
11	11.2		სამშენებლო მოედნის განლაგება შეიცვალა 05 თავის შესაბამისად
11	11.3		ამ თავში შეტანილია ინფორმაცია SCPX-ს მახლობლად პოტენციური მშენებარე ობიექტების შესახებ. ეს სია მიწოდებულია რამდენიმე სამინისტროს მიერ გამოყენებული მიღწევებისა და მეთოდოლოგიის შემდგომი აღწერისთვის
11	11.3.1	F11-1	ეს ნახაზი განახლდა 2011 წლის სამშენებლო დარგის ბრუნვის მაჩვენებლების მიხედვით, ტექსტში შეტანილია ცვლილება, რომლის თანახმად SCPX პროექტის მახლობლად არსებობს ფართომასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოების და ამასთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობის პოტენციალი.
11	11.3.5		დაზუსტებულია, რომ არსებობს 4 დამატებითი საყრდენი ბოძი, რომელიც დაკავშირებულია ვარძიის გადამცემი ხაზის მიმართულების შეცვლასთან.
11	11.3.6		დამატებულია ინფორმაცია თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის პროექტის შესახებ
11	11.4		ეს პუნქტი შეიცვალა ზემოქმედებების შეფასების განმარტების მიზნით – იქ, სადაც პროექტის წარმომადგენელთა აზრით არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია სხვა პროექტების დამახასიათებელი ნიშნების/განლაგების/განხორციელების გრაფიკის შესახებ, პოტენციური კუმულაციური ზემოქმედება შეფასებულია პროფესიული დასკვნის საფუძველზე, როგორც უარყოფითი, ნეიტრალური ან დადებითი; საკმარისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, პოტენციური კუმულაციური ზემოქმედების შესაფასებლად პროექტში გამოყენებულია მე-3 თავში გათვალისწინებული მეთოდოლოგია. შეტანილია დამატება, სადაც განმარტებულია, SCPX პროექტისთვის მე-10 თავში მოყვანილი ზემოქმედების მნიშვნელობის შეფასების რომელიც ნაწილი დარჩა ძალაში და არ იქნა გაზრდილი პოტენციური კუმულაციური ზემოქმედებების გამო.
11	11.4.8		მე-10 თავში მოყვანილი ჰაერის მოდელირების განახლებული შედეგები ნიშნავს, რომ წლიური საშუალო შედეგები CSG1-1-ზე გაიზარდა 18.38-მდე 18.37-ის ნაცვლად. ეს არ მოახდენს გავლენას ზემოქმედების მნიშვნელოვნებაზე

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი / სურათი / ვალდებულება	აღწერა
11	11.6.2		ამ თავს დაემატა საგანგებო სიტუაციებისთვის ელექტროენერჯის გენერირება, როგორც Nox და Sox -ის შემდგომი წყარო და გაუქმდა მითითება PRMS-ის გაზის ძრავებზე პროექტის გეგმაში არსებული ცვლილებების გამო. გარემო ჰაერის კონცენტრაცია საზღვრებს გარეთ შეიცვალა 1.5-დან 2.5მკგ/3მ-მდე მე-10 თავში არსებული განახლების შესაბამისად
13	13.2.1		განიმარტა, რომ პროექტის ვალდებულებების აღწერისას ამ თავში გაკეთებულია მითითება BP-ზე
13	13.3.2		განმარტება იმის შესახებ, რომ ექსპლუატაციის ეტაპის ვალდებულებები მიეკუთვნება ოპერაციების მართვის სისტემას, დაემატა დაგეგმვის ეტაპს
14	14.3.1	T14-2	გარემომცველი ჰაერის ხარისხის სტანდარტში Nox ემისიების გაზრდა შეიცვალა 21დან 22%-მდე, რაც შეადგენს მე-10 თავში არსებული ცვლილებების ნაწილს
14	14.3.3		11 თავიდან დამატებულია მეორადი და არაპირდაპირი ზემოქმედების შეჯამება
